<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) შევიდეს ცვლილება და 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

"2^1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წევრების მიერ დასახელებულ ყველა კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 34-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დასაბუთებული ინიციატივის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია, არ წარუდგინოს პარლამენტს დასახელებული კანდიდატი, თუ გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭერს მხარს საბჭოს სრული შემადგენლობა. აღნიშნულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს საბჭოს ის წევრი, რომელმაც დაასახელა განსახილველი კანდიდატი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი